პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 იანვარი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 9 (9926) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ნდობა გაამართლეს


გიორგი ჩოგოვაძე

**ესპანეთის** ქალაქ ლას-პალმასში გაიმართა წყალში მხტომელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირიდან მიწვეულნი იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები დიანა მჭედლიძე, გიორგი ჩოგოვაძე და მათი მწვრთნელი იური გუტიაკულოვი.

ჩვენმა სპორტსმენებმა ეს დიდი ნდობა გაამართლეს: სსრ კავშირის ექსჩემპიონმა და თასის მფლობელმა დიანა მჭედლიძემ ყველას აჯობა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ევროპის თასის მფლობელი გიორგი ჩოგოვაძე კი მეორე იყო 10-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში.


დიანა მჭედლიძე

## ალმასკომის თავმჯდომარე განმარტავს

„26 კომისრის რაიონის მეგობრობის პარკთან ხვალ ანგრევენ ფეხბურთის მოედანს, რომელიც მოსახლეობამ საკუთარი ძალებით მოაწყო, გთხოვთ დაგვეხმაროთ!." გუშინ საღამოს ამ თხოვნით მომართეს რედაქციას პარკთან ახლომდებარე ქუჩების მაცხოვრებლებმა.

ჩვენ დაუყოვნებლივ დავუკავშირდით რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გურამ დიდბარიძეს. აი, რა გვითხრა მან: „შედგენილია და დამტკიცებულია პარკის რეკონსტრუქციის პროექტი. ამ რაიონში არ გაგვაჩნია კეთილმოწყობილი სპორტული და გასართობი კერა. პროექტი ითვალისწინებს სპორტულ და ბავშვთა სათამაშო მოედნების მოწყობას. აქ გაშენებული ახალი კომპლექსური სპორტული მოედანი მოემსახურება მინიფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის და ფრენბურთის მოყვარულებს, ცალკე მოეწყობა ჩოგბურთის მოედანი. ცხადია, ფეხბურთის ის მოედანი, რომელიც აქ ამჟამად არის, გაუქმდება. ამას ითვალისწინებს პარკის რეკონსტრუქციის გეგმა. ასე რომ, მოსახლეობის შეშფოთება უსაფუძვლოა".

**თბილისის** არმიის სპორტულ კლუბში გაიხსნა უიარაღოდ ხელჩართული ბრძოლის სექცია. აქ ძირითადად გაერთიანებული არიან გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობა, რომლებსაც ინსტრუქტორები ა. მიქაძე და მ. კიკვაძე ავარჯიშებენ. ახლახან მათმა შეგირდებმა მონაწილეობა მიიღეს და წარმატებით იასპარეზეს უიარაღოდ ხელჩართული ბრძოლის მოსკოვის სამხედრო ოლქის ღია ჩემპიონატში.

სურათზე თქვენ ხედავთ საჩვენებელ ორთაბრძოლას (მარჯვნივ ინსტრუქტორი მ. კიკვაძე).

საქინფორმის ფოტოქრონიკა.



პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

## „სად შევიძინოთ ბუცები?"

„ლელოს" 1988 წლის 1 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა მომხმარებლის კრიტიკული წერილი სათაურით „სად შევიძინოთ ბუცები?", რომელშიც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სპორტული საქონლით მოვაჭრე მაღაზიებში არ იყიდება საბავშვო ასორტიმენტის (42 ზომამდე) ფეხბურთის ბუცები.

„საქფეხსაცმელვაჭრობის" რესპუბლიკური საბითუმო ბაზის მონაცემებით, საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს მიერ ჩვენს რესპუბლიკას გამოეყო და შესყიდულ იქნა სხვა რესპუბლიკებში დამზადებული (ვინაიდან ჩვენთან არ იწარმოება) 8,6 ათასი წყვილი ბუცი (საერთო თანხა — 184,5 ათასი მანეთი). ამით ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მხოლოდ 21,5 პროცენტით. შესყიდულია აგრეთვე 62 ათასი წყვილი მამაკაცისა (საერთო თანხა — 310 ათასი მანეთი) და 58 ათასი წყვილი ბავშვის (საერთო თანხა — 261 ათასი მანეთი) ფეხბურთის სათამაშო რეზინის წაღები, რითაც მოსახლეობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია შესაბამისად 31 და 11,3 პროცენტით. აღნიშნული დეფიციტის შესამცირებლად „საქფეხსაცმელვაჭრობის" რესპუბლიკური ბაზა, გაცვლითი ოპერაციების საშუალებით, დამატებით შემოიტანს 4,0 ათას წყვილ მამაკაცისა და ბიჭის ფეხბურთის სათამაშო წაღებს (ბუცებს). საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში აღნიშნული საქონლის საჭირო რაოდენობით შემოტანის შესახებ.

ა. წილოსანი,
საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე.

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**თანამედროვე ხუთჭიდში** — ოთარ კიკნაძეს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ალექსანდრე ოვაქიმიანს (თბილისი, „დინამო"), ბორის კაცებინს (თბილისი, პროფკავშირები)

**ცურვაში** — თემურ გუგუბერიძეს, არამ დავთიანს (ორივე — თბილისი, „დინამო")

**ფეხბურთში** — ომარ თეთრაძეს, ბახვა თედეევს (ორივე — თბილისი, „დინამო")

**ჭადრაკში** — თამაზ ტაბატაძეს (თბილისი, შეიარაღებული ძალები)

**გემთსამოდელო სპორტში** — ზურაბ წიწუაშვილს (თბილისი, დოსააფი).

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში



## დარბაზი მონაწილეებს ვერ იტევდა

**მონაწილეთა** სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი ცხინვალში, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭოს საჭიდაო დარბაზში გამართულ საქართველოს პირად პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 1974-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის — შეჯიბრებაზე 19 გუნდის 326 სპორტსმენი გამოვიდა.

მიუხედავად ამგვარი ხალხმრავლობისა და ორგანიზატორთა გულმოდგინე მზადებისა, არ ჩატარდა შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალი, იგი სომხეთში მომხდარი სტიქიური უბედურების მსხვერპლთა ხსოვნისადმი პატივისცემის წუთიერმა დუმილმა შეცვალა. მსაჯთა კოლეგიის წევრებმა და მონაწილე გუნდების წარმომადგენლებმა იმავე დღეს თავიანთ თუ-

იხ. მე-3 გვ.

სიახლეთა ესტაფეტა

## გაკვეთილი გაკვეთილის შემდეგ

ჩვეულებრივზე ხუთი წუთით ადრე წკრიალებს ყოველი გაკვეთილის ზარი ბრესტის მე-15 საშუალო სკოლაში და გამოთავისუფლებული დრო გამოიყენება დამატებითი ფიზკულტურის გაკვეთილის ჩასატარებლად. ეს გადაწყვეტილება მიიღეს სკოლის მასწავლებელთა და მშობელთა გაერთიანებულ კრებაზე.

სკოლის ხუთი სპორტული დარბაზი მთელი დატვირთვით მუშაობს. ამიერიდან გაკვეთილს ორი მასწავლებელი ატარებს: ცალკე გოგონებისთვის და ცალკე — ბიჭებისთვის. ისინი სხვადასხვა სირთულის კომპლექსურ ვარჯიშებს სთავაზობენ ბავშვებს, ხოლო პატარებს საგანგებოდ აღჭურვილი დარბაზი გამოუყვეს.

ორი აკადემიური საათი ფიზკულტურის გაკვეთილებისთვის მოსწავლეთა მოძრაობის მოთხოვნილების მხოლოდ 10 პროცენტს თუ აკმაყოფილებს. ეს ერთ-ერთი საბაბი გახდა, რათა სკოლაში ასეთი ზომებისთვის მიემართათ.

ბოლოს კი ვიტყვით, რომ მოსწავლეებს მოსწონთ სიახლე. ისინი საღამოობითაც მოდიან მშობლიურ სკოლაში, სადაც მათთვის გახსნილია ბადმინტონის, მხატვრული ტანვარჯიშის, მშვილდოსნობის, მძლეოსნობისა და ძალოსნობის სექციები.



## შაბათს...

14 იანვარს, თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობის მორიგი შეხვედრები. მეტოქე წყვილებია: ერედვი (გორის რაიონი) — ბავაზი (ყვარლის რაიონი); გორი — ოტობაია (გალის რაიონი); პატარძეული (საგარეჯოს რაიონი) — ქუთაისი; ორჯონიკიძის რაიონი (თბილისი) — ფშავი (თელავის რაიონი). შეჯიბრება დაიწყება 14 საათზე.

## პირველი ინდივიდუალური წევრი

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ ГССР

ტგ. ფ.-20 Ф. ТГ-20

**სასწრაფო დეპეშა**
**СРОЧНАЯ ТЕЛЕГРАММА**

მიღება: ПРИЕМ: 1646 — რიცხ. го — სთ. час. — წთ. мин.
გადაცემა: ПЕРЕДАЧА: — რიცხ. го — სთ. ч. — წთ. м.
მისამართი: Адрес:
ბლანკი Бланк № 000755
კავშირის № № связи:
მიიღო: Принял:
გადასცა: Передал:

გორი 106 26 0 1533

სასწრაფო. თბილისი. ლენინის ქ. 14. ლელო. თბილისის დინამოს ხელმძღვანელობას

ვსწავლობ მეთერთმეტე კლასში. გთხოვთ მიმიღოთ გულშემატკივართა კლუბში. საწევროს ქვითარს ანგარიშის გახსნისთანავე გამოგიგზავნით. ქიტუაშვილი ნინო. რუსთაველის 45-50.

ნინო ქიტუაშვილი თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის პირველი ინდივიდუალური წევრია.

კლუბში წინასწარი გაწევრიანება გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტი გლდანის სკოლა-ინტერნატში

# „შიშველი მეფე"



ასე გამოიყურება საჭიდაო დარბაზის სახურავი.

შარშან 19 აპრილს „ლელოში" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი ფოტორეპორტაჟით „ვაი ყოფასა ამას", რომელიც გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის უპატრონობით იავარქმნილ ბაზებს ეხებოდა. წერილში მოყვანილმა მწვავე და მამხილებელმა ფაქტებმა ოპერატიული გამოხმაურება გამოიწვია. წერილის გამოქვეყნების მეორე დღესვე ინტერნატს ეწვივნენ რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყების ხელმძღვანელი მუშაკები. შესასრულებელი სამუშაოების გაცნობის შემდეგ ითქვა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კაპიტალურად გაარემონტებდნენ საძინებელ და სასწავლო კორპუსებს, აგრეთვე, საცურაო აუზს, საერთოდ კი ინტერნატის მთლიანი რემონტისათვის მილიონ ორასი ათასი მანეთი გამოიყო. სამინისტროების ხელმძღვანელებმა პირობა დადეს, რომ აღებულ ვალდებულებას აუცილებლად შეასრულებდნენ. სხვა შემთხვევაში, ცხადია, არავინ დათანხმდებოდა რემონტის დაწყებას. ერთი სიტყვით, იყო შესაბამისი თანხა და არანაკლებ დიდი თამასუქი — პატიოსანი სიტყვა.



სასწავლო კორპუსი. აი, აქ არის გახეთქილი გათბობის მილი.

პირველმა თათბირმა, რომელიც საკმაოდ მოგვიანებით, 8 აგვისტოს ჩატარდა, ცოტა არ იყოს დაგვაეჭვა იმაში, რომ სამინისტროები დანაპირებს შეასრულებდნენ, მაგრამ აპრილში გულზე დარტყმული მჭიდის ხმა მაინც ოპტიმისტურ ხასიათზე გვაყენებდა. თათბირზე, რომელიც სახალხო განათლების მინისტრის მოადგილემ ჩაატარა, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ინტერნატში შექმნილ რთულ პირობებს, ითქვა, რომ „საცხოვრებლად უვარგისია პირველი საძინებელი კორპუსი, დაუმთავრებელია მეორე საძინებელი კორპუსი, მწყობრიდან მთლიანადაა გამოსული საკანალიზაციო სისტემები, ცივი და ცხელი წყლისა და გათბობის ტრასები, მაღალი ძაბვის ელექტროკაბელები. სპორტინტერნატს არ გააჩნია სტადიონი, ურომლისოდაც არ შეიძლება ნორმალური საწვრთნელ-სასწავლო პროცესის ჩატარება. კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს საჭიდაო დარბაზი, საცურაო აუზი და საერთო ფიზიკური მომზადების აღდგენის ცენტრი" და შემდეგ — „ყველასთვის გასაგებია, თუ რა რთულ მდგომარეობაში მოგვიწევს მუშაობა, მაგრამ საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, რათა დროულად და ხარისხიანად იქნას შესრულებული საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 ივლისის № 855 დადგენილება (ეს დადგენილება ჩვენ ადრე უკვე გავაცანით „ლელოს" მკითხველებს, — ჯ. კ.)".

ნეტარ არიან მორწმუნენი — პირველი თათბირის შემდეგ ვიფიქრეთ, რომ ინტერნატში თავდაუზოგავი შრომა გაჩაღდებოდა, მშენებლები ღამეებს გაათენებდნენ პირობის შესასრულებლად და უკვე მეორე თათბირზე შრომითი გმირობის მაგალითებს დაასახელებდნენ, ხოლო მესამე თათბირზე ვადამდე და ხარისხიანად დამთავრებული რემონტის შესახებ უპატაკებდნენ.

მეორე თათბირზე რომ იმავე პრობლემებზე დაიწყო ლაპარაკი და საქმე იოტის ოდენადაც არ წაწეულა წინ, ცოტა არ იყოს დავეჭვდით, მაგრამ მერე, როდესაც დანარჩენი თათბირები წყლის ორი წვეთივით დაემსგავსა ერთმანეთს და მხოლოდ თათბირის „რიგითი ნომრები" და ხელმძღვანელები იცვლებოდნენ, დავრწმუნდით, რომ მშენებლების სიტყვა და საქმე სხვადასხვა იყო. თუმცა ერთ საკითხში დღემდე ვერ გავრკვეულვართ: ამდენი ხალხი ერთდროულად რატომ ცრუობდა, თუ მოსალოდნელი კრახი წინასწარ იყო ცნობილი, ფუჭი და ლიტონი სიტყვებით ვის ვაყრიდით თვალში ნაცარს? როგორ მოხდა, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ოთხჯერ (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) გადადეს რემონტის დამთავრების ვადები? მათ ხომ თავიდანვე იცოდნენ, რომ ეს თათბირები ფარსი იყო. რატომ ვერავინ გაბედა იმის თქმა, რომ „მეფე შიშველი იყო", რომ არ გვქონდა საჭირო რაოდენობის სამშენებლო მასალა და არ გვყავდა მუშახელი? თუმცა ალალად უნდა ვთქვათ, — ეჭვი გვეპარება, რომ რესპუბლიკას ერთი ინტერნატის კაპიტალური რემონტის ჩატარება არ შეეძლო.

ახლა კი გაგაცნობთ ბოლო, მეათე, 22 ნოემბერს გამართული თათბირის ოქმს. პირადად ჩვენ თათბირს არ ვესწრებოდით, იმიტომ რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი გააღიზიანა გაზეთის კრიტიკულმა გამოსვლებმა. გვთხოვეს დაგვეცლია მუშაობა. ამიტომ, როდესაც რემონტის შეფერხების ძირითადი მიზეზი „ამოაჩინეს", ცხადია, სათოფეზეც აღარ გავკარებივართ. მერე კი, როდესაც რემონტის დამთავრების მოლოდინი უსაზღვროდ გაგრძელდა, გადავწყვიტეთ „საზღვარი დაგვერღვია" და ინტერნატს ვწვეოდით. გთავაზობთ თათბირის ოქმის ამონაწერს: „მდგომარეობა კვლავ სავალალოა, როგორც ტემპებიდან ჩანს, მშენებლები წლეულსაც ვერ დაამთავრებენ კაპიტალურ რემონტს. კვლავ არა გვაქვს სამშენებლო მასალები"... ალბათ არა ღირს ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ოქმშია მოცემული. ჯობს იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ვნახეთ.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ რემონტისთვის გამოყოფილი მილიონ ორასი ათასი მანეთიდან დღეისათვის ათვისებულია დაახლოებით სამასი ათასი (!) მანეთი.

მაშ ასე, რა და როგორ გაკეთდა? პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც გაკეთდა, ბევრი რამ ცუდად, ძალიან ცუდად გაკეთდა (ამაში ალბათ ჩვენი ფოტორეპორტაჟით დაგარწმუნებთ, თუმცა ყველაფრის გადაღება არ გვიცდია).

ტრენაჟორი-კარები — მხოლოდ ასე შეიძლება ეწოდოს „ალუმინსპეცმონტაჟმშენის" მიერ დამონტაჟებულ საცურაო აუზის შესასვლელ კარებს, რომელიც დიდი კუნთური ძალის გამოუყენებლად არც იღება და არც იკეტება. ახალი ტიპის „ტრენაჟორები" ინტერიერშიც საკმაოდ შეგვხვდა. აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საცურაო აუზში, რომელსაც „სპორტრემმშენის" სამმართველო არემონტებს, იმის გამო, რომ ხარისხიანი კაფელი ვერ იშოვეს, სექტემბრიდან კაციშვილი არ შესულა, თუმცა აქ საკმაოდაა პირველი რიგის სანტექნიკური და ელექტროგაყვანილობის სამუშაოები. საკმაოდ მკაცრ გამოცდელად მოევლინა ქარი „თბილგვირაბმშენის" მიერ გაკეთებულ ჭიდაობის დარბაზის სახურავს. მან ბეტონზე გუდრონით დაწებებული „ტოლი" ეტრატივით აახვია, თუმცაღა ერთი შეხედვით ძნელი სავარაუდო იყო, რომ სახურავს ქარი რაიმეს დააკლებდა (ამასწინანდელი ძლიერი ქარები არ გვაქვს მხედველობაში).

ახლა კი ყველაზე მტკივნეულ საკითხს გვინდა შევეხოთ. პროექტის თანახმად, ინტერნატის ყველა ობიექტზე უნდა გამოცვლილიყო ელექტროსადენები, მაგრამ, როგორც გვითხრეს, საქმის გაიოლების მიზნით აქ ისევ ძველ გაყვანილობას ტოვებენ. ეს კი, თუ ასე მოხდა, პოტენციური ხანძრის საშიშროებას ქმნის. ჯერჯერობით თითი თითზე არავის დაუკარებია გარე განათების გასაკეთებლად. მიტოვებულია სტადიონის მშენებლობა. ერთადერთი ტრაქტორი, რომელიც აქ მუშაობდა, უფრო მნიშვნელოვან ობიექტზე გაუგზავნიათ.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

— მოსწავლეთა მცირე ნაწილი კვლავ ინტერნატში სწავლობს. ისინი თბილისის სხვადასხვა სპორტულ ბაზებზე ვარჯიშობენ და ცხოვრობენ, — გვითხრა ინტერნატის დირექტორის მოადგილემ ოთარ რამიშვილმა.

სასწავლო კორპუსში მწყობრიდანაა გამოსული გათბობის სისტემა და შენობაში ღამღამობით წყალიც კი იყინება. მიზეზი? როგორც გაზოპერატორმა ყორუ ბეზრუჩკომ აგვიხსნა, გათბობის სისტემა იმდენად დაძველდა, რომ ხან სად გასკდება, ხან სად. (ასე ყოფილა შარშან და უფრო ადრეც.— ჯ. კ.). თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მიწისძვრის შედეგად ბევრ ადგილას კედლები დახეთქილია, ხოლო ქარისაგან ალაგ-ალაგ მინებია ჩამსხვრეული, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაა შექმნილი ინტერნატში.

როდემდე!?

ჯემალ კასრაძე.





ზოგი ხაშენ მასალას უჩივის, ეს ფილები კი მეხუთე თვეა ხელოსნებს ელოდება (მარცხნივ); კარები ძალის გამოყენებითაც არ იღება.

# კიდევ ერთხელ სპორტული ბაზების შესახებ

კონსულტაცია

## სსრ კავშირის სპორტსახკომმა დაამტკიცა ფიზკულტურულ-სპორტული ნაგებობების ახალი კლასიფიკაცია

იგი არა მარტო განსაზღვრავს ცალკეული დარბაზის, აუზის, სტადიონის კატეგორიას, არამედ ზუსტადაც ყოფს მათს სპორტულ-სანახაობრივი (სადემონსტრაციო), სასწავლო-საწვრთნელი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიხედვით.

სპორტულ-სანახაობრივს ახლა ისეთი ნაგებობები განეკუთვნება, რომლებსაც მაყურებლისთვის შენობაში 500 და მეტი ადგილი აქვთ, ღია ცის ქვეშ კი—1500-ზე მეტი.

ნიჩბოსნობაში, აფროსნობაში, სროლაში, ცხენოსნობაში (იპოდრომების გარდა), საგზატკეცილო ველოსპორტში, ჭადრაკსა და შაშში სამეცადინო ადგილები, რაოდენობის მიუხედავად, სასწავლო-საწვრთნელად ითვლება.

ნაგებობათა ყველაზე დიდი ჯგუფი, დაწყებული ჩვეულებრივი სპორტული მოედნებით, მინდვრებით, ტრასებითა და საცხენოსნო დარბაზებით, მანეჟებით, აუზებით (...სულ 31 დასახელება) კლასიფიცირდება, როგორც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი.

უნდა ითქვას, რომ ყველა ნაგებობა თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე კატეგორიად და განკუთვნილია მეცადინეობათა ჩასატარებლად საბავშვო, სკოლამდელი და სასწავლო დაწესებულებების პროგრამით, შრომის პროცესში და მუშაობის შემდგომი აღდგენისთვის, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის მომზადების უზრუნველსაყოფად.

ძირითადი მეცადინეობებისგან თავისუფალ დროს სასწავლო დაწესებულებები, საწარმოების ნაგებობები, რომელთაც არა აქვთ გამტარი რეჟიმი, და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, გამოყენებული უნდა იქნეს მოსახლეობისთვის ფიზკულტურულ-სპორტული მომსახურეობის გასაწევად. ეს ეხება ნაკრები გუნდებისა და სასწავლო-საწვრთნელი ცენტრების, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების, ოლიმპიური რეზერვის სკოლების, სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების სპეციალიზებულ ბაზებსაც.

არსებობს, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული შეზღუდული გამოყენების ნაგებობები, რომლებიც მომეცადინეთაგან მოითხოვს სპეციალურ მომზადებას და განკუთვნილია მაღალი კლასის სპორტსმენების სასწავლო-საწვრთნელი პროცესისთვის. ეს გახლავთ ველოტრეკი, ტირები და სასროლეთები. მათზე შესაძლებელია ფასიანი მომსახურების დანერგვა, ოღონდ უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასიფიცირდება მხოლოდ ის ნაგებობები, რომელთაც აქვთ დამხმარე სათავსები, ნორმატიული გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. ის ბაზები კი, რომელთაც ისინი სათანადო რაოდენობით ან საერთოდ არა აქვთ, მომსახურე პერსონალის რაოდენობის, ხელფასის გეგმური ფონდის, კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხების სათვალავში არ მიიღება.

ამრიგად, ნაგებობები იყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველმა უნდა უზრუნველყოს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, შეჯიბრებების საერთაშორისო წესებით ჩატარება: მსოფლიოს, ევროპის, ქვეყნის ჩემპიონატები, სათასო შეჯიბრებები და ა. შ. მოსახლეობასთან მუშაობისთვის გათვალისწინებულია გამოყენების ნორმატიული დროის 20 პროცენტი.

მეორემ — სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისა და მოსახლეობის მეცადინეობის ერთობლივი წარმართვა. ამისთვის განკუთვნილია დროის 40 პროცენტი.

მესამე კატეგორიის ნაგებობები უპირატესად მასებისთვის გამოიყენება (დროის 60 პროცენტი).

მეოთხე განკუთვნილია მხოლოდ მუშებისთვის, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეებისთვის.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ მოსახლეობასთან მუშაობაში შედის საერთო ფიზიკური მომზადებისა და სპორტული მიმართულების ფასიანი ჯგუფების მეცადინეობა, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საშუალო და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეების, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ინდივიდუალური ფასიანი მეცადინეობები სპორტის ცალკეულ სახეობებში.

# სასახლის პირველობაზე

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს ამ სასახლის პირველობის ფინალური ტურნირი.

VI ტურში საინტერესო გამოდგა ოსტატობის კანდიდატების, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის რევაზ კაკაბაძისა და თენგიზ ლომაძის შეხვედრა.

თეთრები დებიუტშივე დაეუფლნენ უპირატესობას, აქტიურად განალაგეს ფიგურები და მეტოქის მეფის ფრთაზე შეტევა წამოიწყეს. მიტელშპილში კი კაკაბაძემ ტაქტიკური კომბინაციით ჯერ ხარისხი მოიგო, შემდეგ კი პარტიაც.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჭიკაძე-გოგოხია — 1:0, პეტრიაშვილი-არზუმანოვი — 1:0, კვარაცხელია-პ. ვაშაკიძე — 1:0, ნეჩაევი-ტახტაროვი — 1:0, კარტაშიანი-დ. ვაშაკიძე — 0,5:0,5, ქსოვრელი-სიგუა — 0,5:0,5, გადაიდო ჩაჩუა-გოგაძის პარტია.

VII ტურის ოთხი შეხვედრა შავი ფიგურებით მოთამაშეთა სასარგებლოდ დამთავრდა: ტახტაროვი-ჩაჩუა — 0:1, დ. ვაშაკიძე-ნეჩაევი — 0:1, არზუმანოვი-კაკაბაძე — 0:1, გოგოხია-პეტრიაშვილი — 0:1, სიგუა-კარტაშიანი — 1:0, გადაიდო გოგაძე-ჭიკაძის, პ. ვაშაკიძე-ქსოვრელისა და ლომაძე-კვარაცხელიას პარტიები.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: კახა პეტრიაშვილი — 5,5, რევაზ სიგუა — 5, რევაზ კაკაბაძე, ბექა კვარაცხელია — 4-4 (2-2), ვასილ ვაშაკიძე — 3,5.

# სამნი — ლიდერთა შორის

**ოდესაში,** სსრ კავშირის პირველობაზე 1971 წელსა და შემდეგ დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა შორის, გათამაშდა IV და V ტურების შეხვედრები. როგორც გახსოვთ, პირველი სამი ტურის შემდეგ სოფიკო ნიკოლაძეს ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა. და აი, IV ტურში მასაც მოეცარა ხელი — დათმო ორთაბრძოლა კორკინასთან, სამაგიეროდ ამ დღეს ნიკოლაძის სხვა თანამემამულეებმა იმარჯვეს. ეძგვერაძემ მოუგო ზაკს, ლებანიძემ — ბრომბერგს, დარჩიამ — სერგეევას. დაზავდნენ ხურციძე და ბაკლანოვა.

V ტურში ხურციძემ სძლია ლარიონოვას, ნიკოლაძემ — ხაიროვას, დარჩიამ — გურარუს, ლებანიძემ — ოვეზოვას. ეძგვერაძე — სერგეევას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ 5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობს ლენინგრადელი კიბრიკი. ნიკოლაძეს, დარჩიასა და ხურციძეს 4-4 ქულა აქვთ, ლებანიძესა და ეძგვერაძეს — 2,5-2,5.

# „ვერდერთან“ ერთად გაემგზავრნენ



**თბილისელმა** ფეხბურთის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს თბილისის „დინამოსა“ და ბრემენის „ვერდერის“ (გფრ) საქველმოქმედო მატჩისადმი, რომელიც 10 იანვარს გაიმართა საქართველოს დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. თამაშს 50 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო, მატჩის შემოსავალი გადაირიცხა სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ჩვენი სტუმრები თამაშის დღეს ჩამოვიდნენ თბილისში, „ვერდერის“ ფეხბურთელებს აეროპორტში გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, დამხვდურთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც მიწისძვრისგან ესოდენ დიდი ზარალი განიცადა: თბილისში დროებით მაცხოვრებელი ბავშვები, 110-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები.

„ვერდერის“ ცნობილმა ფეხბურთელმა მანფრედ ბურგსმიულერმა განაცხადა:

— სომხეთში მომხდარმა ტრაგედიამ არ შეიძლება გულგრილად დატოვოს ვინმე, ვინაიდან მიწისძვრამ ათობით ათასი სიცოცხლე შეიწირა, ბევრნი უსახლკაროდ დარჩნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ დახმარება გაგვეწია დაზარალებულთათვის, მადლობელი ვართ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისა, რომლებმაც უყოყმანოდ გამოთქვეს საქველმოქმედო მატჩის ჩატარების სურვილი. ჩვენს დღევანდელ დელეგაციაში 80-ზე მეტი კაცია, მათაც ისურვეს დახმარებოდნენ დაზარალებულთ, რისთვისაც საგანგებო ფონდში 100 ათასი მარკა გადარიცხეს.

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები „ვერდერთან“ ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გაემგზავრნენ. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ზაარბრიუკენსა და დასავლეთ ბერლინში გამართულ მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირებში.

## მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში

**ჰოლანდიაში** კვლავ დიდ ინტერესს იწვევს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში. გათამაშების პირველი ეტაპის შემდეგ გამარჯვებულმა გუნდებმა შემდგომ ეტაპზე განაგრძეს ბრძოლა, ნახევარფინალის საგზურებისთვის ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა (I ქვეჯგუფი) ფრედ დაამთავრეს თამაში უნგრეთის ნაკრებთან — 3:3, ხოლო ბელგიელებმა დიდი ანგარიშით მოუგეს იტალიის გუნდს — 5:1.

II ქვეჯგუფში ბრაზილიისა და პარაგვაის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ბრაზილიელთა იოლი გამარჯვებით — 5:1. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა მოუგო არგენტინის ნაკრებს — 3:1.

# ვ. გრანატკინის მემორიალი

**1989 წლის** საფეხბურთო სეზონი ჩვენს ქვეყანაში არსებითად უკვე დაიწყო. გარდა იმისა, რომ ოსტატთა კატეგორიის გუნდები ემზადებიან წლევანდელი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებებისთვის, ახალი წლის პირველსავე დღეებში იმართება ოფიციალური შეხვედრები, კერძოდ, თბილისის დინამოელებმა სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად თავის მინდორზე საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენის ცნობილ „ვერდერთან“ (0:0).

ოფიციალურ შეჯიბრებათა რანგს განეკუთვნება სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. გრანატკინის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვალენტინ გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული შეჯიბრება წლეულს უკვე მეცხრედ იმართება. მასში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბელგიის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. მონაწილეთა ასაკი განისაზღვრება 18 წლით, მხოლოდ სსრ კავშირის მეორე ნაკრებია ერთი წლით უმცროსი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული.

განვლილ 8 შეჯიბრებაში ექვსჯერ გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა და ორჯერ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა. ამ შეჯიბრებებში გამოვლინდა შემდგომში უკვე ფართოდ ცნობილი მრავალი ოსტატი, საბჭოთა ფეხბურთელთაგან მათს რიცხვს მიეკუთვნებიან ო. პროტასოვი, გ. ლიტოვჩენკო, გ. კეტაშვილი, ი. დობროვოლსკი, ა. ნარბეკოვასი და სხვები.

გუშინ ტურნირზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი ნაკრები და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 6:0.

# დებიუტანტები ლიდერთა შორის

**იტალიის** ჩემპიონატში 12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრდა დებიუტანტი, ბერგამოს „ატალანტა“. იგი მხოლოდ ქულით ჩამორჩება მეოთხე ადგილზე მყოფ „სამპდორიას“ და რაც მთავარია, თამაშის საკმაოდ მაღალ კლასს აჩვენებს. გუნდის წარმატებებს, პირველ რიგში, ნახევარმცველთა შვედური ტანდემის სტრიომბერ-პრიტცის ბრწყინვალე თამაშს უკავშირებენ. გთავაზობთ ამ ფეხბურთელებთან უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ნაწყვეტებს: გლენ სტრიომბერგი 28 წლისაა, რობერტ პრიტცი—მისი თანატოლი.

**⊙ ორიოდე სიტყვა თქვენი სპორტული კარიერის შესახებ.**

**სტრიომბერგი:** თამაში „გიოტებორგში“ დავიწყე. მასთან ერთად 1981 წელს უეფა-ს თასს დავეუფლე, შემდეგ მწვრთნელ გეორგ ერიქსონთან ერთად ლისაბონის „ბენფიკაში“ გადავედი, გავხდი პორტუგალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი, 1984 წლიდან „ატალანტას“ ღირსებას ვიცავ, შვეციის ნაკრებში 30 მატჩი მაქვს ჩატარებული.

**პრიტცი:** 1979-80 წლებში „მალმეს“ შემადგენლობაში შვეციის ჩემპიონი გავხდი. იმავე წელს ვითამაშე ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში, („მალმე“ დამარცხდა „ნოტინგემთან“ 0:1). 1981 წლიდან „გლაზგო რეინჯერსში“ 3 წელი გავატარე. ორჯერ მოვიპოვე შოტლანდიის თასი. შემდეგ „გიოტებორგში“ აღმოვჩნდი. 1984 წელს შვეციის ჩემპიონის მეორე მედლით დამაჯილდოვეს. იმავე წელს შვეიცარიის „იანგ ბოისის“ მიწვევა მივიღე და ორი სეზონის განმავლობაში ჩემს სპორტულ კოლექტივს შვეიცარიის ჩემპიონობა და თასი შევმატე. 1987 წელს გფრ-ის „იურდინგენში“ გადავედი და ბოლო წელს „ატალანტაში“ დავმკვიდრდი.

**⊙ გასულ წელს შვეციის ნაკრებმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ჯერ დასავლეთ ბერლინის პრესტიჟული ტურნირი მოიგო, შემდეგ კანარის კუნძულებზე გამართული ოთხთა შეჯიბრება, ამას მოჰყვა გამარჯვებები უელსთან, ესპანეთთან... და ბოლოს წარმატებული სტარტი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.**

**პრიტცი:** როცა დასავლეთ ბერლინში გფრ-ისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებს ვძლიეთ, დიდი ქება დავიმსახურეთ. ტრაბახში ნუ ჩამითვლით, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ჩვენი მაქსიმუმი როდია. მჯერა, რომ ევროპის პირველობის ფინალშიც არ შევირცხვენდით თავს. სამწუხაროდ, შესარჩევ ტურნირში პორტუგალიასთან დაკარგულმა ქულებმა საშუალება არ მოგვცა დაგვემტკიცებინა ჩვენი რეალური ძალა.

**სტრიომბერგი:** კანარის კუნძულებზე გამართული შეჯიბრება ჩვენმა სარეზერვო გუნდმა მოიგო, რაც შეეხება ბერლინს, იქ შვეციის წარმატება ბევრმა სენსაციად მიიჩნია. არადა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გფრ-სთან მანამდეც ვითამაშეთ ფრედ (1:1), საბჭოთა ნაკრები კი თბილისში დავამარცხეთ 3:1. პირადად მე მჯეროდა, რომ მაღალ დონეზე გამოვიდოდით.

**⊙ თქვენი ოცნება?**

**პრიტცი:** 1992 წელს ევროპის პირველობა შვეციაში გაიმართება. მინდა კონტინენტის ჩემპიონი გავხდე.

**სტრიომბერგი:** მსოფლიო პირველობის ფინალში თამაში.

**⊙ ვინ გახდება იტალიის ჩემპიონი?**

**პრიტცი:** „ნაპოლი“ ან „ინტერი“.

**სტრიომბერგი:** „ნაპოლის“ ჰყავს მარადონა და კარეკა. ორივე ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ „ინტერს“ მეტი დისციპლინა აქვს. „მილანსაც“ არ უთქვამს თავისი ბოლო სიტყვა.

**⊙ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში მეტოქეებად პოლონეთი, ინგლისი და ალბანეთი გყავთ, თანაც ფინალში მხოლოდ ერთი გუნდი გადის. გჯერათ, რომ ფინალისტი შვეცია იქნება?**

**სტრიომბერგი:** ჩვენი გუნდი დღეს ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში. თანაც ინგლისელებთან გასვლაზე 0:0 ვითამაშეთ. ტირანიდანაც 2 ქულა ჩამოვიტანეთ. ჯერჯერობით პესიმიზმის საბაბი არა გვაქვს.

**პრიტცი:** ინგლისს, პოლონეთსა და ჩვენ აბსოლუტურად ერთნაირი შანსები გვაქვს. ინგლისში მოპოვებულმა ფრემ არ უნდა მოგვატყუოს. სად არის გარანტია, რომ შინ გავიმარჯვებთ? პოლონელები ბოლო ოთხი მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშობდნენ. ასე რომ, მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა.

**(საქ. ინფ.)**

# დარბაზი მონაწილეებს ვერ იტევდა

(დასასრული)

ლადი შენაწირი გადარიცხეს სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ ერთგვარი სირთულეები შეუქმნა მსაჯებსა და ორგანიზატორებს, სამხრეთ ოსეთისათვის უკვე ჩვეული ბაზების ქრონიკული უკმარისობა აქაც გამოჩნდა. ხსენებული საჭიდაო დარბაზი ამგვარი ღონისძიებების ჩასატარებლად მეტად შეუფერებელი ადგილი აღმოჩნდა, რადგან მისი ფართობი ორ საჭიდაო ლეიბსა და შეჯიბრების მონაწილე ბავშვებსაც კი ვერ იტევდა, მაყურებელი პირდაპირ ლეიბებზე გადადიოდა.

შეჯიბრებაზე განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისის, გორის, სოხუმის გუნდები. საერთოდ კი, აშკარად ჩანდა აღმოსავლეთ ზონის გუნდების უპირატესობა (მათ შორის რიცხობრივიც). პირველობაში მონაწილეობდა აღმოსავლეთის ზონის თითქმის ყველა გუნდი, გარდა თელავისა (?!), მაშინ, როცა დასავლეთიდან სულ ოთხი გუნდი იყო წარმოდგენილი. გულდასაწყვეტია, რომ თელავში, სადაც, ბევრ სოფელშიც კი კარგი სპორტული ბაზები აქვთ, უგულისყუროდ ეკიდებიან თავისუფალი ჭიდაობის განვითარებას.

ოთხდღიან ასპარეზობაზე სპეციალისტთა ყურადღება ბევრმა მოზარდმა მიიქცია. მათ შორის იყვნენ თბილისელი კ. შოშიტაშვილი, გორელი ა. ხინჩიკაშვილი, ცხინვალელი რ. მიტოევი და სხვები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

29 კგ. პ. კაკიაშვილი (ხაშური); 32. ს. ლობჟანიძე (გორი); 35. რ. მექერიშვილი (ხაშური); 38. რ. დარსანია; 41. ო. გოგუა (ორივე — სოხუმი); 44. მ. მხეიძე (სამტრედია); 47. გ. დათაშვილი (კასპი); 50. ც. გიორგაძე (სამტრედია); 54. დ. პოლოსიანი (გორი); 58. გ. ყოჩიშვილი (წითელი წყარო); 62. კ. ვერხვიაშვილი; 66. ი. ლეკიშვილი; 71. მ. მაისურაძე; 76. დ. ლაზრიშვილი; 81. გ. ტორჩინავა; 87. კ. შოშიტაშვილი (ყველა — თბილისი); +87. ა. ალბოროვი (ცხინვალი).

**ლეილა სუბელიანი,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

# და ახალგაზრდებიც...

ჭაბუკთა შეჯიბრების შემდეგ თბილისში ახალგაზრდა მოჭიდავეთა (1968-71 წლებში დაბადებულთა) რესპუბლიკური პირველობა ჩატარდა.

გამარჯვებულები: 48 კგ. ბადრი რომაკიძე; 52. გიორგი ბერუაშვილი (ორივე — თბილისი); 57. დავით ბელთაძე (სამტრედია); 62. კახა ლევიძე (ქუთაისი); 68. ზურაბ ავაზაშვილი (გორი); 76. კახა გოგოლიშვილი (თბილისი); 82. ავთანდილ მგელაძე (ქუთაისი); 90. ზაზა ბენდიანიშვილი; 100. თამაზ კურკუმელი; 130. ბესიკ ბურდული (ყველა — თბილისი).

## საერთაშორისო ფეხბური: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**იტალია**

**მე-12 ტური.** „ტორინო“ — „ნაპოლი“ 0:1, „ჩეზენა“ — „მილანი“ 1:0, „რომა“ — „იუვენტუსი“ 1:3, „კომო“ — „პიზა“ 1:1, „ასკოლი“ — „ვერონა“ 3:0, „ფიორენტინა“ — „ლაციო“ 3:0, „ინტერი“ — „ბოლონია“ 1:0, „სამპდორია“ — „ატალანტა“ 1:1, „ლეჩე“ — „პესკარა“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ინტერი“** | 12 | 21-4 | 22 |
| **„ნაპოლი“** | 12 | 27-10 | 19 |
| **„იუვენტუსი“** | 12 | 28-14 | 17 |

**ესპანეთი**

**მე-17 ტური.** „სარაგოსა“ — „ესპანიოლი“ 2:1, „ვალიადოლიდი“ — „მალაგა“ 1:0, „მურსია“ — „ატლეტიკო“ 1:1, „სელტა“ — „სევილია“ 1:0, „ლოგრონიესი“ — „ბილბაო“ 1:1, „ელჩე“ — „რეალი“ 2:4, „ბარსელონა“ — „კადისი“ 3:0, „ვალენსია“ — „ბეტისი“ 0:0, „სან-სებასტიანი“ — „ოსასუნა“ 2:1, „ოვიედო“ — „ხიხონი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„რეალი“** | 17 | 43-18 | 29 |
| **„ბარსელონა“** | 17 | 36-12 | 27 |
| **ვალენსია“** | 17 | 16-12 | 21 |

**თურქეთი**

**მე-18 ტური.** „ფენერბახჩე“ — „სარიერი“ 3:2, „ბეშიქთაში“ — „ტრაბზონსპორი“ 2:0, „ესკიშეჰირსპორი“ — „გალათასარაი“ 1:1, „ზაკარიასპორი“ — „სამსუნსპორი“ 0:1, „ადანასპორი“ — „რიზესპორი“ 3:1, „ბოლუსპორი“ — „ალტაი“ 2:0, „მალატიასპორი“—„კმარასპორი“ 3:1, „ბურსასპორი“ — „კონიასპორი“ 2:0, „კარსიაკა“ — „დემირსპორი“ 2:3,

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ფენერბახჩე“** | 18 | 44-14 | 43 |
| **„ბეშიქთაში“** | 17 | 43-8 | 41 |
| **„სარიერი“** | 18 | 33-23 | 35 |

**ინგლისი**

**მე-20 ტური.** „ლივერპული“ — „ასტონ ვილა“ 1:0, „ქოვენთრი“— „შეფილდი“ 5:0, „ლუტონი“ — „საუთჰემპტონი“ 6:1, „მიდლსბრო“ — „მანჩესტერი“ 1:0, „ვესთ ჰემი“ — „უიმბლდონი “1:2, „მილუოლი“ — „ჩარლტონი“ 1:0, „ნიუკასლი“ — „დერბი“ 0:1, „ნოტინგემი“ — „ევერტონი“ 2:0, „ქუინს პარკი“ — „ნორვიჩი“ 1:1, „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„არსენალი“** | 19 | 42-20 | 40 |
| **„ნორვიჩი“** | 20 | 29-20 | 38 |
| **„მილუოლი“** | 19 | 30-21 | 38 |

**(საქ. ინფ.)**




## ბუტრაგენიო სათადარიგოთა სკამზე?!

**მადრიდის** „რეალი“ კვლავინდებურად ლიდერობს ესპანეთის ჩემპიონატში. მაგრამ ესპანელი ჟურნალისტები გამუდმებით ესხმიან თავს მის მწვრთნელს, ცნობილ ჰოლანდიელ სპეციალისტს ლეო ბეენჰაკერს. საქმე ის არის, რომ ბეენჰაკერი აშკარად შემოსწყრა გამოჩენილ ცენტრფორვარდს ემილიო ბუტრაგენიოს და რამდენიმე მატჩის მანძილზე საერთოდ არ გამოიყვანა იგი მინდორზე. ბუტრაგენიო სათადარიგო მოთამაშეთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს მატჩს, რაც მადრიდელ გულშემატკივრებს არ მოსწონთ. ამის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ მწვრთნელი აპირებს ბუტრაგენიოს გვარის „ტრანსფეროლისტში“ (გასაყიდი მოთამაშეების სია) მოთავსებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ „რეალის“ სამმა წამყვანმა მოთამაშემ—ვამაჩომ, მიჩელმა და გორდილიომ ჟურნალისტებს განუცხადა: „ემილიო შეუცვლელი მოთამაშე გახლავთ „რეალისათვის“. თუ ვინმეს გაყიდვაა საჭირო, ეს, ჩვენის აზრით, შუსტერია. რაც შეეხება ბუტრაგენიოს, მასთან სხვა ტონია საჭირო. ბუტრაგენიოს უნდა მოველაპარაკოთ და, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობას დავუბრუნოთ. ასევე ფიქრობს „რეალის“ გენერალური მდივანი მანუელ ფერნანდესი.



# სამიდან—სამი

**ბრძელდება** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ტურნირების მატჩები. თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მესამე წრის შეხვედრები გაიმართა.

**ბონი.** კაუნასის „ჟალგირისმა“ მეოთხედფინალური ტურნირის მესამე მატჩიც მოიგო. ამჯერად მან დასავლეთგერმანიის კლუბი „სტეინერი“ დაამარცხა 99:81 (45:32). შეხვედრა ლიტველ კალათბურთელთა სრული უპირატესობით აღინიშნა. განსაკუთრებით ეფექტურად თამაშობდა საბონისი, რომელმაც თავის კოლექტივს 25 ქულა შესძინა. ამ გამარჯვებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანა კურტინაიტისმა— 22 ქულა. მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინა ოლდჰემმა — 24 ქულა.

ამავე დღეს მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში, სადაც „ჟალგირისი“ თამაშობს, კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. აეკი (საბერძნეთი) შინ მინიმალური სხვაობით დამარცხდა იუგოსლავიის „ციბონასთან“ 91:92.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი“ | 3 | 3 | 0 | 6 |
| „სტეინერი“ | 3 | 2 | 1 | 5 |
| „ციბონა“ | 3 | 1 | 2 | 4 |
| აეკი | 3 | 0 | 3 | 3 |

პირველ ჯგუფში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მადრიდის „რეალმა“, რომელიც გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, გასვლითი მატჩი მოიგო ისრაელის „ჰაპოელს“ 92:82. საფრანგეთის „შალე“ იტალიის „სნაიდეროს“ შეხვდა და დაამარცხა იგი 85:76.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „რეალი“ | 3 | 3 | 0 | 6 |
| „შალე“ | 3 | 1 | 2 | 4 |
| „სნაიდერო“ | 3 | 1 | 2 | 4 |
| „ჰაპოელი“ | 3 | 1 | 2 | 4 |

## კალეიდოსკოპი

### მეოთხე ცენტრი

სამხრეთ კალიფორნიის შტატის ქალაქი სან-დიეგო სულ მალე აშშ-ს მეოთხე ოლიმპიური ცენტრი გახდება. მანამდე ამ ქვეყნის სპორტსმენები როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ კოლორადო-სპრინგსის, ლეიკ-პლესიდისა და მარკეტის ცენტრებში.

სან-დიეგოს ცენტრის მშენებლობა, რომელიც 1990 წელს ჩადგება მწყობრში და პირველ ოლიმპიელებს ერთი წლის შემდეგ მიიღებს, 41 მილიონი დოლარი ჯდება.

### ოპტიმიზმის საბაბი

როგორც ცნობილია ფეხბურთში ევროპის 1992 წლის ჩემპიონატს შვეციის დედაქალაქი უმასპინძლებს. უეფა-ს წარმომადგენლებმა უკვე რამდენიმე საინსპექციო მოგზაურობა მოაწყვეს იმ ქალაქებში, სადაც კალენდარული მატჩები გაიმართება. ევროპის საფეხბურთო კავშირს, პირველ რიგში, აინტერესებს სტადიონების საერთო მდგომარეობა, მაყურებლების უსაფრთხოების საკითხი და ტურისტთა მიღება-დაბინავების პრობლემები. ბოლო ინსპექციის შედეგები ოპტიმიზმის საბაბს იძლევა, თუმცა ორგანიზატორებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ მოსაგვარებელი.

ცნობილი გახდა, რომ ჯგუფური ტურნირები ჩატარდება ოთხ ქალაქში სტოკჰოლმში, რომლის მთავარი სტადიონი 45 ათას მაყურებელს იტევს, მალმიოში (35 ათასი), ნორჩეპინგში (35 ათასი) და გიოტებორგში (45 ათასი).

შვეციამ ერთხელ უკვე უმასპინძლა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს. მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ, 1958 წელს. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ევროპის 1992 წლის ჩემპიონატი კონფლიქტური სიტუაციების გარეშე ჩატარდება.

### უანგარო დახმარება

დემოკრატიული იემენის უმაღლესი სპორტული საბჭოსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მ. აჰმედის განცხადებით: „ქვეყნის სპორტსმენთა მზარდი წარმატებები პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან კონტაქტების გაძლიერებას უნდა მივაწეროთ“.

მართლაც, საბჭოთა კავშირის სპორტსახკომი არსებული შეთანხმების საფუძველზე ყოველმხრივ დახმარებას უწევს დემოკრატიული იემენის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, უმზადებს მათ მწვრთნელთა კვალიფიციურ კადრებს, ეხმარება ცალკეულ სპორტსმენებს ოსტატობის ამაღლებაში. ამ დახმარების კიდევ ერთი გამოვლენა იქნება 1989 წელს იემენის დელეგაციის მონაწილეობა მეგობრული ქვეყნების არმიელ სპორტსმენთა შეჯიბრებებში.

### წმინდა წყლის პროფესიონალი

შვედი მოთხილამურე ტორგნი მოგრენი მიმდინარე წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში ლიდერთა შორის იმყოფება და ეს მოულოდნელობად არავის მიაჩნია. მას ბევრი საერთაშორისო შეჯიბრება აქვს მოგებული, 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მოგრენს მეტის გაკეთება შეუძლია და საბოლოო სიტყვა სათხილამურო სპორტში ჯერ არ უთქვამს.

მოგრენმა თხილამურებზე სრიალი სამი წლისამ ისწავლა. თერთმეტი წლის ასაკში უკვე შეჯიბრებებში მონაწილეობდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდა: თხილამურებს, ფეხბურთს თუ ჰოკეის.

როგორც აღვნიშნეთ, სპეციალისტებს სჯერათ მოგრენისა. მაგრამ საინტერესოა რას ემყარება ეს რწმენა? შვედი ჟურნალისტების აზრით მოგრენი ფანატიკოსი სპორტსმენია. იგი თანატოლებისაგან განსხვავებით არსად არ მუშაობს, არ სწავლობს, ასე ვთქვათ წმინდა წყლის პროფესიონალია. ასეთმა ახალგაზრდამ კი, თუ მას ნიჭიც ხელს უწყობს, უსათუოდ უნდა მიაღწიოს მიზანს.

### „სპორტის“ ლაურეატები

კატოვიცეს (პოლონეთი) პოპულარულმა გაზეთმა „სპორტმა“ თავის საახალწლო ანკეტაში დაასახელა ევროპის საუკეთესო გუნდები და ფეხბურთელები.

საუკეთესო გუნდების ათეულში მოხვდნენ: ჰოლანდია, საბჭოთა კავშირი, გფრ, იტალია, ირლანდია, იუგოსლავია, შვეცია, რუმინეთი, ესპანეთი და ინგლისი.

ევროპის სიმბოლურ ნაკრებში რეფერენდუმის მონაწილეებმა შეიყვანეს: დასაევი (სსრ კავშირი), კუმანი (ჰოლანდია), კუზნეცოვი (სსრ კავშირი), ჰიუსენი (შვეცია), ბრემე (გფრ), გულიტი, რიიკარდი (ორივე — ჰოლანდია), მატჰაუსი (გფრ), მიხაილიჩენკო (სსრ კავშირი), ვან ბასტენი (ჰოლანდია), პროტასოვი (სსრ კავშირი).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „სპორტის“ საახალწლო რეფერენდუმებში ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამარჯვება მოპოვებული აქვთ დანიას (1983 წელს), საფრანგეთს (1984), სსრ კავშირს (1985), გფრ-ს (1986-1987).

კალეიდოსკოპი

# ბრძოლას ორი ჩოგბურთელი განაგრძობს

**სიდნეი.** იანვარი ავსტრალიაში საჩოგბურთო თვედ ითვლება. საერთაშორისო ტურნირები აქ ცვლიან ერთმანეთს და ბოლოს ყველა უძლიერესი სპორტსმენი თავს იყრის „დიდი მუზარადის“ პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში — ავსტრალიის ღია ჩემპიონატში.

მანამდე კი... დაიწყო ახალი სამხრეთ უელსის შტატის ტრადიციული ტურნირი, რომლის სტარტიც ჩვენი ჩოგბურთელებისთვის არც ისე იღბლიანი აღმოჩნდა. 18 წლის უფელმა ანდრეი ჩერკასოვმა პირველ წრეში დაამარცხა მექსიკელი ლეონარდო ლავალი (6:4, 6:1), რომელიც ერთ დროს უიმბლდონის ჩემპიონიც კი იყო იუნიორთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა კიდევ ორი ანდრეი— ჩესნოკოვი და ოლხოვსკი. სამწუხაროდ, ორივე დამარცხდა, პირველი კრისტიან საჩანთან (გფრ) 6:4, 4:6, 4:6, მეორე — კრისტ ვან რენსბურგთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) 3:6, 6:7 (10:12).

თავისი პირველი ბრძოლა მოიგო კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა — 6:2, 6:3. მისი მეტოქე ამჯერად გახლდათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი ბიიონ ტალბოტი.

ახალი სამხეთ უელსის შტატის ღია ჩემპიონატში ბრძოლას განაგრძობენ ანდრეი ჩერკასოვი და ალექსანდრე ვოლკოვი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

# აბდულ ჯაბარის ბოლო სეზონი

**ნბა-ს** პროფესიულ ლიგაში ბოლო, ოცდამეერთე სეზონს ატარებს „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის“ კალათბურთელი კარიმ აბდულ ჯაბარი. 42 წლის ცენტრალურ თავდამსხმელს მონაწილეობა აქვს მიღებული ათასობით მატჩში. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე მყოფ კალათბურთელს იგი მთელი 533 მატჩით უსწრებს.

— ჩემი მიზანია, განაცხადა გამოჩენილმა სპორტსმენმა, გუნდთან ერთად მესამედ მოვიპოვო ნბა-ს ჩემპიონის ტიტული. ასეთი წარმატება ჯერჯერობით არც ერთ პროფესიულ კლუბს არ ღირსებია, „ლეიკერზს“ კი შეუძლია მას მიაღწიოს.

## სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

**სპორტული** ლატარიების რესპუბლიკური სამმართველო გაცნობებთ, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიდთოვლობის გამო, ზოგიერთი ქალაქიდან და რაიონიდან სამმართველოში დასამუშავებლად ვერ მივიღეთ ლატარიების „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ მეორე ტირაჟის „ბვ“ ნაწილები. ამის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „ლელოს“ 5 იანვრის ნომერში, გადაიცა საქართველოს ტელევიზიით, პროგრამა „მოამბის“ საშუალებით.

სპორტული ლატარიების ჩატარების პირობების თანახმად, 02 ტირაჟის ბილეთების „ბვ“ ნაწილები, რომლებიც რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან უკვე შემოვიდა, მონაწილეობას მიიღებენ 03 ტირაჟში.

გთავაზობთ ამ ქალაქებისა და რაიონების სიას: ქუთაისი, ტყვარჩელი, ზუგდიდი, ფოთი, სამტრედია, ქობულეთი, ცხაკაია, წულუკიძე, თერჯოლა, აბაშა, ვანი, ხობი, გალი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ლანჩხუთი, ტყიბული, გეგეჭკორი, ხულო, მაიაკოვსკი.

რაც შეეხება ჭიათურისა და საჩხერის რაიონებს, ამ რეგიონებიდან „ბვ“ ნაწილები სამმართველოში დღემდე არ შემოსულა. ამ ბილეთების ტირაჟებში მონაწილეობის შესახებ გაცნობებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

**საქსპორტლოტო.**



# რეგბი: სამოყვარულო და პროფესიული

**დამკვიდრებული** ტრადიციის თანახმად, წლის მესამე შაბათს, 21 იანვარს, დაიწყება მოყვარულ რეგბისტთა ფრიად ავტორიტეტული შეჯიბრება — ხუთი ერის პირველობა, რომელშიც 1910 წლიდან მონაწილეობენ ინგლისის, უელსის, შოტლანდიის, საფრანგეთისა და სრულიად ირლანდიის ნაკრები გუნდები.

წლევანდელი პირველობა საიუბილეოა — მესამოცედ ეწყობა. პირველ ტურში შარშანდელი ტურნირის თანაჩემპიონები — უელსისა და საფრანგეთის გუნდები სტუმრად იასპარეზებენ. უელსელები ედინბურგის გარეუბან მერიფილდში შოტლანდიელებს ეწვევიან, ფრანგები კი დუბლინში, „ლენსდაუნ როუდის“ სტადიონზე ირლანდიელებს ეთამაშებიან.

ტურნირის კვირაძალს რეგბის სამყარო გააოცა უელსის ნაკრების კაპიტნის, 26 წლის გარე ნახევარმცველის ჯონათან დევისის უეცარმა გადაწყვეტილებამ: ბრიტანული რეგბის ერთ-ერთმა ყველაზე კოლორიტულმა მოთამაშემ სულ მცირე 200 000 გირვანქა სტერლინგად შეფასებულ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ინგლისის რეგბის ლიგის კლუბ „ვიდნესთან“, რითაც მშრალზე დატოვა როგორც მშობლიური ქალაქის — ნისის გუნდი, ასევე უელსის ნაკრები და მთელი სამოყვარულო რეგბი. საქმე ისაა, რომ კონტრაქტის დადებით დევისი პროფესიონალი რეგბისტი გახდა, სამოყვარულო რეგბის ხელმძღვანელი ორგანოს — რეგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) კანონების ძალით კი გაპროფესიონალებულ რეგბისტს სამუდამო დისკვალიფიკაცია ეძლევა და საერთოდ ეკრძალება სამოყვარულო რეგბის თამაში.

ასე და ამგვარად, „დევისის საქმემ“ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა რეგბის ორი ნაირსახეობა — სამოყვარულო და პროფესიული, თხუთმეტკაციანსა და ცამეტკაციანს შორის დღესდღეობით არსებული წინააღმდეგობანი. არადა, ეს უთანხმოება ჯერ კიდევ 1895 წლის განხეთქილებიდან იღებს სათავეს. იმ დროს მატჩების შაბათობით გამართვა მუშა რეგბისტებს ხელფასის ნაწილს აკარგვინებდა, ამიტომ მათი კლუბები გაცდენილი სამუშაოსათვის ფულადი კომპენსაციის დაწესებას მოითხოვდნენ, მაგრამ რეგბის კავშირის არისტოკრატულ კლუბთა უმეტესობა ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მაშინ ჩრდილოეთ ინგლისის მუშური კლუბები გამოეყვნენ 1871 წელს დაარსებულ ინგლისის სამოყვარულო რეგბის კავშირს, შემოიღეს პროფესიონალობა და ახალ ორგანიზაციად — რეგბის ლიგად გაერთიანდნენ.

დღესდღეობით ორივე რეგბი სპორტის სავსებით დამოუკიდებელი სახეობაა. ჩვენში ნაცნობი თამაშისაგან განსხვავებით, ლიგის წესებით (1906 წლიდან) გუნდში ცამეტი მოთამაშეა, სხვაგვარია ქულათა დარიცხვის სისტემა, ბურთის აუტიდან მოწოდების მაგივრად შერკინება თამაშდება, ხოლო ძოლისა და რაქის სანაცვლოდ ე. წ. გზის გადაღობვის წესი მოქმედებს. ყოველივე ეს თამაშს საგრძნობლად უცვლის ტაქტიკასა და საერთო იერს.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნად არ არსებობს სხვა ორი თამაში, რეგბის ამ ნაირსახეობებზე მეტად რომ ჰგავდნენ ერთმანეთს, ასე რომ, თხუთმეტკაციან რეგბიში დახელოვნებული სპორტსმენები ადვილად ეთვისებიან ცამეტკაციან თამაშს. ამით მშვენივრად სარგებლობენ ლიგის კლუბები: რაკიღა მოყვარულ რეგბისტებს თავიანთი გუნდების წინაშე იურიდიული პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, მათ შორის გამორჩეულებს სარფიანი კონტრაქტების მეშვეობით თავისკენ გადაიბირებენ ხოლმე. უელსისა და ავსტრალიის ნაკრებები დროდადრო სწორედ ამ მიზეზით მოისაკლისებენ თავიანთ ლიდერებს. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ზოგან (შოტლანდიაში, ირლანდიაში, არგენტინაში) ლიგა საერთოდ არ არსებობს, ზოგან კი (ახალ ზელანდიაში, საფრანგეთში) სამოყვარულო რეგბის მეტოქეობას ვერ უწევს.

ბოლო ხანებში რეგბის სამყაროში ხშირად გაისმის მოწოდება, მოგვარდეს თამაშის ორ ნაირსახეობას შორის არსებული დავა. განსაკუთრებით ბევრი კრიტიკოსი ჰყავს ირბ-ის კანონს, რომელიც მოყვარულ რეგბისტებს ლიგის გუნდებში თამაშს უკრძალავს. სინამდვილეში ეს ხომ სპორტის სრულიად განსხვავებულ სახეობაში გამოსვლის აკრძალვაა. პარადოქსია, მაგრამ იმავდროულად ირბ მოყვარულ რეგბისტებს რთავს ნებას, იყვნენ გოლფისა და კრიკეტის პროფესიონალი მოთამაშეები, პროფესიონალი მოკრივეები და ფეხბურთელები, მძლეოსნები და კალათბურთელები. ირბ-ის კანონებისულოგიკობის საილუსტრაციოდ კრიტიკოსები ხშირად სწორედ ამ ფაქტს იშველიებენ. მაგრამ, ეტყობა, ირბ-ის ხელმძღვანელობა ასე არ ფიქრობს: მას რეგბის ლიგა დღესაც თავის „უძღებ შვილად“ მიაჩნია, კვლავაც არ სურს მისი ცნობა, თუმცა ამგვარი სიჯიუტის გამო თავადაც საკმაოდ ზარალდება.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93.97.55,
სამდივნო — 93.97.52,
ინფორმაციის განყოფილება — 93.97.58,
„მერანი“ — 93.97.26, „მართვე“ — 93.97.27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05688